ხუთშაბათი, 29 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 263

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად ელაპარაკება, შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

**დილით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში. დილით**

კვირას, 2 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ნაშუადღევის 12 საათზედ

პირველად ახალი პიესა, რომელმაც დიდი ყურადღება დაიმსახურა სატახტო სცენებზე

**მეფე**

პიესა 4 მოქმედებად იუშკევიჩისა, თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ელ. ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.

მორიგე წევრი გამგეობისა **მ. ყიფიანიძე.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

---

„ტფილისის სობრანიე“ პარასკევს, 30 ნოემბერს, ბ-ნ წევრთა, კანდიდატთა და მათ ოჯახთათვის შესანიშნავი ვირტუოზი—გარმონის დამკვრელი **პეტრე ნევსკი** გამართავს

**კონცერტს**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება მთელ დღეს „სობრანიეს“ შვეიცართან. (2—453—1)

---

**„ტფილისის სობრანიე“.**

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, ბ-ნთ წევრთა, კანდიდატთა, მათ ოჯახთა და სტუმართათვის რუს-მალოროსთა დრამატიულ და საოპერეტო არტისტების ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**„ნაზარ სტოდოლია“**

ისტორ. პიესა 3 მოქმედებად. თხზ. ტ. გ. შევჩენკოსი.

დიდებული ტანისამოსი, სიმღერა და ცეკვა. მეორე მოქმედებაში ქ-ნი დიდენკო და ბ-ნი პიდლუჟნი შეასრულებენ მალოროსიულ ნაციონალურ ცეკვას—„გოპაკ“-ს.

დასასრულ „ბუვალშჩინა“, ოპერეტა-ფარსი 1 მოქმ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** (1—453—1)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, პირველი წარმოდგენა ახალ ოპერის

**„ანნა კარენინა“-სი**

ლირიკ. სცენები 6 სურათად მუსიკა გრანელისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ვოდოპიანოვა, გორინა, ოვსიანიკოვა, ოკუნევა, პახომოვა, რაზჩინსკაია; ბ-ნნი აკიმოვი, ბალდინი, დე-რობერტი, დივანსკი, კირნოზოვი, მაზინი, პავლოვსკი, პრავდინი და სხვ.

კაპელმეისტერი: **კომპოზიტორი გრანელი.** ფასები საბენეფის. დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** 30 ნოემბერს, ოლ. ბორონატის მონაწ. „ფაუსტი“. ახლო მომავალში სიბირიაკოვის ბენეფისი—„დემონი“. მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა მეფემ». (0—11)

---



**ძმ. ნიკიტინებ ს ცირკი.**

დღეს, 29 ნოემბერს, 1907 წელს **გაიხსნება ცირკი**

**ახალი დასი,**

**პირველ ხარისხოვან არტისტებისა,** ევროპაში ცნობილთა, **დირექტორის და რუსეთში ცირკის დამაარსებლის აკიმ ნიკიტინის მეთაურობით.**

**დიდი ბალეტი** პეტერბურგის თეატრების ცნობილ ბალეტმეისტერის ბ-ნ **ანტონიო იანოვიჩის** გამგეობით. საკუთარი ორკესტრი იონოშის გამგეობით. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. დაწვრილებით პროგრამებში.

---

**ქართველ ლიტერატორთა ჯგუფი**

ამ მოკლე ხანში გამოსცემს სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების **კრებულს** და სთხოვს ყველას, ვისაც სურს ამ კრებულში მონაწილეობის მიღება, თავისი ნაწარმოები გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: ტფილისი, Головинскій проспектъ № 33 д—ру Ивану Гомартели ან: Гановская ул. д. № 6, Константину Туманову. (5—5)

---

**თამბაქოს ქარხანა**

საქ. საზ. **„მირისა“** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

**არომატ**

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—9)

---

ექიმი

**ბ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმი **კუჭის და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭავაძისა (25—წლ.

---

ექიმი

**ე. ფაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—თ—22)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათ. მდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

---

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—17)

---

**კბილის ექიმი**

**ბალარჯაშვილი-მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—12)

---

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25. (0—234)

---

**მედიცინის დოქტორი**

**მ. ი. მურადოვი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფ.-ლ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—10)

---

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—21)

---

ექიმი

**ი. ი. გოკიელი**

სპეციალისტი: **ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სნეულებით** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (25—406—17)

---

**ქ თელავში**

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—14)

---

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—28)

---

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანის და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ექიმი

**მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—345—21)

---

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ბადრიძე**

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5 ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—19)

---

**სოფ. ანაგაში (ყიზიყში)**

კვირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და კვირაობით—სიღნაღიდან ივლის **ექიმი გ. დ. ჟღენტიშვილი** და მიიღებს ავადმყოფება დილის 9 საათიდან 11 საათამდის მასერაძის აფთიაქში. (5—6.—2)

---

18 ნოემბერს ზღვაში მოულოდნელად დაღუპულის კვაჩა ბუკიას შვილები სთხოვენ შავი ზღვის პირად მცხოვრებთ, რომ ვინც იპოვნის იმის გვამს, **საჩუქრად მიიღებს 50 მან.** ნიშნები: მოხუცი, ჩოხაში გამოწყობილი, დაგანილის შარვალი, ვერცხლის ქამარი ცხრა ნაჭრით.

ადრესი: ფოთი, ბუკია. (3—6.—2)

---

**მიქელ-ოსნის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—56)

---

**„ნიშადურის“**

**მე-15 № გამოვიდა დღეს**

ფასი ყველგან 10 კაპ.

---

გამოვიდა და იყიდება

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში“

ლ. ანდრეევის დრამა

**„ცხოვრება ადამიანისა“**

თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. (10—3)

---

ორ დეკემბერს ამა 1907 წ. ქ. ტფილისში გამოვა ქართულს ენაზე გიორგი სხირტლაძის რედაქტორობით, **ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** სახელდობრ

**„ცის ნამი“**

გაზეთი ეღირება წლიურად ტფილისში 7 მან., 6 თვით 4 მან., ერთის თვით 75 კაპ., თვითეული ნომერი 5 კაპ.

რედაქცია დროებით მოთავსებულია ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1. მიიღება ხელის მოწერა და დასაბეჭდი მასალა. (3—2)

---

**იყიდება**

ს. საგურამოს ახლო (დუშეთის მაზრა), მცხეთის პირდაპირ, არაგვის მარცხენა ნაპირზე

**სახნავი მიწები და ტყე**

ზომით 544 დესეტინა. მამულში მოთავსებულია ევროპიულად მოწყობილი ორსართულიანი წისქვილი.

მამული დაგირავებულია ტფილისის სათ.-აზნ. ბანკში და მყიდველს შეუძლიან ბანკის ვალი თავის სახელზე გადაიტანოს.

**პირობები შეღავათიანია**

დაწვრილებით ცნობების გაგება და საბუთების ნახვა შეიძლება ალექსანდრე ყიფშიძესთან, ტფილისში, თ.-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა). ფოსტის ადრესი: Тифлисъ. улица Бѣлинскаго Дворянское Депутатское Собраніе. г-ну А. Кипшидзе. (5—6.—2)

## 1908 წლის ბიუჯეტი

გუშინ-წინ ჩვენ აღვნიშნეთ საზოგადო ხასიათი სახ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და შევჩერდით განსაკუთრებით შემოსავლის ნაწილზე. ჩვენ ვნახეთ, რომ სახ. შემოსავალი ერთობ გადამეტებულია და სრულებით არ შეეფერება ხალხის ეკონომიურს მდგომარეობას, რომ აუტანელ ტვირთად აწვება მშრომელ ხალხს არა პირდაპირ გადასახადთა ზრდა, რომ მთავარი შემოსავალი სახელმწიფოს აქვს არყის გასაღების ოპერაციიდან, ე. ი., ხაზინის გასამდიდრებლად სახელმწიფო აწარმოებს საწამლავის დამზადებისა და გაყიდვის საქმეს. მაგრამ რუსეთის ბიუჯეტის სრული უკულმართობა და საფინანსო სისტემის უსამართლობა უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა გასავლის ნაწილს ვიხილავთ.

ჩვეულებრივი გასავალი 1908 წლისათვის ბიუჯეტის პროექტით ნავარაუდევია 2.317 მილიონ მანათი, წინა წელთან შედარებით თითქმის 145 მილიონ მანათით მეტი. შესავალში ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ „მთავრობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია რუსეთის საფინანსო მდგომარეობისათვის; ეს მდგომარეობა-კი გვავალებს დიდ სიფრთხილეს ახალ კრედიტების გადადებისა და ხარჯების მომატების საქმეში“. მიუხედავად ამისა, სამინისტრო უმატებს ხარჯებს და ამ მომატებაში ისევ ძველ ტენდენციას იჩენს: სახელმწიფო გასავლის მხოლოდ უმცირესი ნაწილია დანიშნული ხალხის კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

უდიდესი ნაწილი გასავლისა გადადებულია „სამხედრო და საზღვაო სამინისტროთათვის; სულ ამ ორ სამინისტროსთვის დანიშნულია 492 მილიონი მანათი, ე. ი. თითქმის ერთი მეხუთედი მთელის ბიუჯეტისა და ერთი მეოთხედი მთელ გასავლისა! წინა წელთან შედარებით ეს სტატია გადიდებულია $41^1/_2$ მილ. მანეთით, ე. ი. ერთი მესამედი იმისა, რასაც ბიუჯეტი უმატებს მომავალ წლის ყველა ხარჯის, სამხედრო და საზღვაო სამინისტროებს ერგებათ. სადაც ესოდენი ფული იხარჯება სახელმწიფოს გარეშე მტრებისაგან დაცვის საქმეზე, იქ მოსალოდნელია, რომ მხედრობის საქმე ბრწყინვალედ უნდა იყოს დაყენებული; მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომმა სავსებით გამოამჟღავნა, რომ ხალხის ქონება წესიერად არ იხარჯება და სახელმწიფოს დაცვის საქმე მეტად ცუდ ყოფაშია. უზომოთ ფულის დახარჯვა არ ნიშნავს საქმის წესიერად დაყენებას: აუარებელი მილიონები იყო ჩაყრილი ფლოტის შექმნისათვის,—იმ ფლოტისა, რომელმაც გასულ ომში სამართლიანად დაიმსახურა სახელი „ძველის კალოშისა“. არც იარაღი, არც სამხედრო მასალა და სურსათი არ აღმოჩნდა რიგიანი და საკმარისი, ფული-კი ყოველ წელს ოხრად იხარჯებოდა. მეორეს მხრით, უბრალო ჯარის-კაცნი და დაბალი აფიცრობა წარმოუდგენელს ნივთიერს შევიწროებაში ჰყავთ, იმავ დროს გენერლობაზე უზომოთ იხარჯება ფული. საკმარისია შემდეგი მაგალითი: გენერალ კუროპატკინს წელიწადში 144 ათასი მანათი ეძლეოდა ომის დროს, ადმირალ როჟდესტვენსკის—140 ათასი; უმცროს აფიცრების ჯამაგირი-კი 1800 და 2000 მანეთს არ აღემატებოდა!.. ხალხისაგან დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით აღებული ფულის ერთი მეხუთედი იმისთვის იხარჯება, რომ რუსეთს მხოლოდ გარეგნობით ჰქონდეს გავარდნილი სახელი „ძლევამოსილ სამხედრო სახელმწიფოსი“, ნამდვილად-კი მისი მხედრობა ისევეა უნუგეშო მდგომარეობაში, როგორც ყოველი სხვა მხარე სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. მიუხედავად ამისა სახალხო წარმომადგენლობას არ ძალუძს ხელი შეახოს ამ ბიუჯეტს...

შემდეგ უდიდეს კათეგორიას გასავლისას შეადგენს სახელმწიფოს ხარჯი სახაზინო საწარმოებელ ოპერაციებზე (მაგარ სასმელების მონოპოლია, რკინის გზები, სახაზინო ქარხნები, მაღაროები და სხვა). სულ ამისთვის დანიშნულია 720 მილიონზე მეტი, ე. ი. თითქმის 34% მთელის ბიუჯეტისა. მიუხედავად ასეთ დიდ თანხების გადადებისა, ყველა სახაზინო ოპერაცია ცუდათ მიდის: მაგარ სასმელების მონოპოლიისაგან გადამეტებული შემოსავალი სპირტის გამყიდველებს მიაქვთ, რკინის გზებზე ყოველ წლივ მეტი და მეტი იხარჯება, ხოლო შემოსავალი კლებულობს და სხვა. როგორი მეურნეა ხაზინა, ამას შემდეგი მცირე მაგალითი გვიჩვენებს, რომელიც შარშან გამოამჟღავნა კუტლერმა სათათბიროში: ცხენების მომშენებელი უწყება ერთის ცხენის გამოზრდისათვის ხარჯავს 1500 მანათს, ცხენის ფასი-კი დიდი-დიდი 300 მანათი იყოს! ამგვარსავე სამეურნეო უნარს იჩენს რუსეთის მთავრობა ყველა თავის საწარმოვო საქმეში და

ამისთვის ხარჯავს ყოველ წლიწადს ბიუჯეტის 30—35%-ს!..

მესამე უდიდესი სტატია გასავლის ბიუჯეტისა არის ხარჯი სამოქალაქო მართვა გამგეობაზე, რომლისთვის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი 480 მილიონ მანათამდე მოითხოვს, ე. ი. რუსეთის ურიცხვის მოხელეობის შენახვას უნდება თითქმის 22% მთელის გასავლის ბიუჯეტისა!.. მიუმატეთ ყველა აქ ჩამოთვლილ მთავარ ხარჯებს ის დიდი თანხაც, რომელსაც სახელმწიფო იხდის მარტო ვალის სარგებელში; ამ საჭიროებასა და სავალდებულო ხარჯისთვის მომავალ წლის ბიუჯეტიდან გადადებულია 386 მილ. მანათი, ე. ი., 17% ჩვეულებრივ გასავლისა. ყველა ეს ხარჯი რომ შევაერთოთ, მივიღებთ ვეებერთელა ციფრს: 2 მილიარდ მანათზე მეტს. მხოლოდ დანარჩენი 300 მილიონი უნდა მოხმარდეს ხალხის ყველა კულტურულ და ქვეყნის სხვა მრავალ საჭიროებათ! ხალხის განათლების საქმეს, მაგალითად სახელმწიფო ანდომებს 47 მილიონ მანათს (საერო განათლების სამინისტროს მთელი ბიუჯეტი მომავალ წლისათვის). განსაკუთრებით პოლიციაზე ბევრად უფრო მეტია გადადებული, სახელდობრ $67^{1}/_{2}$ მილიონი მანათი. ვეებერთელა სახელმწიფო, რომელშიაც 170 მილიონი მცხოვრებია თითქმის, წარმოუდგენელს უმეცრებაში მყოფი, მთელ თავის ბიუჯეტის ორ პროცენტს ხარჯავს საერო განათლების საქმეზე. მარტო ეს გარემოება მშვენიერად ახასიათებს რუსეთის ბიუჯეტს...

ასე მეურნეობდა და მეურნეობს დღესაც რუსეთის ბიუროკრატია. მისმა საფინანსო პოლიტიკამ, რომელიც სავსებით შეეფერება მის შინაურ პოლიტიკას, უკიდურესობამდე მიიყვანა სახელმწიფო და მუტანელი კრიზისი მოახვია ხალხს თავზე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა და მათშორის ბიუროკრატიაც დარწმუნდნენ, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, თვითმპყრობელი მოხელეობა მაინც არ ჰფიქრობს ხელი აიღოს ხალხის აპეკუნობაზე. მან მხოლოდ გარეგნობით შესცვალა აპეკუნობის რეჟიმი: შეჰქმნა ჯერ ისტორიაში უნახავი თვითმპრობელობითი კონსტიტუცია, ჯავშნით შემოსა ბიუჯეტის ნახევარი ნაწილი და... ისევ თავის გზით მსვლელობას აპირებს. როდემდის? სამწუხაროდ, ეს სულთამხუთავი საკითხი ისევ საკითხად რჩება მრავალტანჯულ რუსეთის ხალხთა წინაშე.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

**ტიმოშკინის სიტყვა** რუსეთის გუშინდელ გაზეთებში სრულად არის დაბეჭდილი ტიმოშკინის სიტყვა. მას დაუწყია საქართველოს ისტორიიდან. განუხილავს მეათე საუკუნე, ხანა საქართველოს შეერთებისა რუსეთთან და შემდეგ დაუწყია კითხვა ამიერ კავკასიელ რუსთა თხოვნისა. ჩვენებური რუსები, ტიმოშკინის სიტყვით, თურმე თხოულობენ: „1) კავკასიის მართვა-გამგეობა უნდა ჩაბარდეს ხელმწიფის ერთგულ რუსებს. კავკასიიდან უნდა გაძევებულ იქმნენ უცხოელნი: პოლონელები, ებრაელები, სომხები და სხ. (მარცხნივ უყვირიან: „ქართველები?“ ტიმოშკინმა პასუხი არ გასცა და განაგრძო) 2) სკოლის საკითხი უნდა ხელმეორედ შემუშავდეს. ვინც რუსეთის საქმეს არ ემსახურება, სკოლიდან უნდა გაძევებულ იქმნეს. 3) გადასახლების საქმე უნდა ახლად მოეწყოს. ამისთვის კავკასიიდან უნდა მოვიწვიოთ მცოდნე ხალხი, მათის დახმარებით შევიმუშავოთ შესაფერი კანონი და მისი შესრულება მივანდოთ რუსებს. მუღანისა და შირაქის მინდვრები რომ მოირწყოს, სახელმწიფოს აუარებელი მიწა მიემატება. შესაფერი ყურადღება უნდა მივაქციოთ კასპისა და შავი ზღვის ნაპირებს. 4) უნდა დაარსდეს სახელმწიფო ბანკი, რომელიც დაეხმარება რუსებს. ეხლანდელი ბანკები „ტუზემცების“ ხელშია. 5) ვაჭრობა მრეწველობა კავკასიაში უცხოელების ხელშია. მთავრობა უნდა ეცადოს მათ მაგივრად განავითაროს რუსული ვაჭრობა მრეწველობა და რუს ვაჭრებს ფულით დაეხმაროს. 6) სასამართლოც უნდა გადაკეთდეს. სასამართლოდან უნდა გაძევებულ იქმნენ ყველა არა რუსნი და მათი ადგილი უნდა რუსებმა დაიჭირონ. 7) გაზეთებს უნდა აეკრძალოს წერა შესახებ ავტონომიისა და ავტოკეფალიისა. 8) უნდა გადაკეთდეს წესდება საქალაქო თვითმართველობისა და გაფართოვდეს უფლებანი რუსებისა. 9) გაყვანილ იქმნეს ახალი გზები. 10) მუშათა საკითხი კავკასიაში ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს. ამ ჟამად ამიერ კავკასიის რკინის გზა „ტუზემცებს“ ჩაუვარდათ ხელში რუსებს ადგილებს არ აძლევენ. აუცილებლად საჭიროა, რომ არარუსნი გადაყვანილ იქმნენ რუსეთში, მათი ადგილები კი უნდა მიეცეს რუსებს“. ტიმოშკინმა დიდ ხანს ილაპარაკა რკინის გზის მუშებზე. ის ამტკიცებდა, ვითომ არარუსნი რუსებს ბრაუნინგებით სდევნიან, ხოცავენ და სამუშაოს არ აძლევენ. მან განაგრძო: „ადმინისტრატორი, მასწავლებლები, მოსამართლენი და საზოგადოთ მოხელენი რუსები უნდა იყვნენ. სკოლაში სავალდებულო უნდა იყოს: სამღვთო სჯულის სწავლება, ლოცვა ყოველ გაკვეთილის დასაწყისსა და დასასრულს, სიმღერა გაკვეთილებზე, ფორმის ტანისამოსის ტარება და სხ. ვაუწყებ სათათბიროს, რომ კავკასიაში ვერ იპოვით ვერც ერთ ისეთ გიმნაზიელსა და რეალისტს, რომელსაც ფორმის ტანისამოსი ეცვას. ყველას უშველებელი შავი ქუდები ხურავთ და ისეთი უზრდელნი არიან, რომ ქუჩაში ხელსაც წაგკრავენ და ბოდიშს არ მოგიხდიან (საერთო სიცილი). ვერც კი გაარჩევთ, მოსწავლენი არიან თუ ხულიგანები. გარდა ამისა საჭიროა „კრამოლის“ აღმოფხვრა, ძლიერი მთავრობა, საველე სასამართლოს შემოღება, გაფიცულთა დათხოვნა, გადასახლება, რევოლიუციონერ მღვდელთა გაკრეჭა და სხ. აი ამას თხოულობენ ამიერ კავკასიელი რუსები. ამ თხოვნას გადავცემ ჩვენს თავმჯდომარეს (სიცილი). ამბობენ, ვითომ კავკასიაში სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდა, ვითომ კავკასიაში არავითარი სეპარატისტული მოძრაობა არ იყოს. ეს მართალი არ არის. კავკასიელნი მედგრად თხოულობენ ავტონომიას, ან მის მაგვარს რასმეს, და ფაქტიურად ცდილობენ მის განხორციელებას, კავკასიელნი რუსებს ჰკლეტენ და ხოცავენ. რუსები იძულებულნი არიან გაიქცნენ. მოიგონეთ, მაგალითად, საცკეთისო რუსები—გენ. გრიაზნოვი, რომელიც კავკასიელებმა ყუმბარით დაფლითეს. მოიგონეთ ალიხანოვი! ვის არ გაუგონია მისი სახელი? რამდენჯერ აწამეს ის კაცი! ბოლოს ყუმბარით ააფეთქეს გუმბრში „ტუზემცებმა“. (ხმაურობამ იმატა ზოგი იცინოდა, ზოგი ყვიროდა).

ამის შემდეგ ტიმოშკინმა სათათბიროს აჩვენა სომეხთა არქიმანდრიტის სურათი და ამით გაათავა თავისი ლაპარაკი.

**27 ნოემბრის კრება**. 27 ნოემბერს სათათბირომ დაიწყო ბიუჯეტის განხილვა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა. დაწვრილებით შემდეგ.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **ახალი საზოგადოება**. ჩვენ გავიგეთ, რომ ქართველ ლიტერატორთა ერთ ჯგუფს განუზრახავს „ქართულ მხატვრულ ლიტერატურულ საზოგადოების“ დაარსება. წესდება უკვე შეუდგენიათ და ამ დღეებში მოხდება კერძო კრება ლიტერატორებისა, რომელნიც წესდებას განიხილავენ და საბოლოოდ შეიმუშავებენ.

✦ **ნამესტნიკის კანცელარიის ახალი ვიცე დირექტორი.** მაქსიმოვის ნაცვლად, რომელიც თურმე სამსახურიდან გადის, როგორც ხმა დადის, ნამესტნიკის კანცელარიის ვიცე-დირექტორად ნიშნავენ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორს მაკაროვს.

✦ **პოლიცმეისტრის ბრძანება**. ტფ. პოლიცმეისტერმა გუშინ ბრძანება დაუგზავნა ბოქაულებს: პოლიცმეისტერი სწერს, სახელმწიფო თუ სხვა გადასახადები ძალიან ზანტად იკრიბება, ამიტომ ყოველიგვე ღონე იხმარეთ გადასახადის მოსაკრებადაო. ამისათვის პოლიციელები არ უნდა დაერიდნენ არავითარს საშუალებას. გადასახადის მოკრების დროს თუ საჭირო იქნება, პოლიციელნი არ უნდა დაერიდნენ საცხოვრებლის აღწერასა და საჯაროდ გაყიდვასაო. ამასთან პოლიცმეისტერი სთხოვს აცნობონ, ვინ რამდენი გადაიხადა და ვიზე რამდენია დარჩენილი ფული 1907 წლის 1 დეკემბრამდე.

✦ **ჩიჟიკის მოკვლა**. როგორც აღვნიშნეთ, 27 ნოემბერს დილით მოჰკლეს ტფ. ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსი ჩიჟიკი. ამ მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს და იმავე დღეს დააპატიმრეს შორაპნის მაზრის მცხოვრები აკაკი გორდეზიანი (და არა გიორგობიანი, როგორც შეცდომით გვქონდა აღნიშნული), რომელსაც აღმოჩნდა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი. გორდეზიანი მარიამაშვილის გვარით ტრამვაის კონდუქტორად მსახურებდა. მოკლული ჩიჟიკი შარშან გადმოუყვანიათ ბათუმიდან იქ მომხდარ გაფიცვის გამო. ამის შემდეგ ჩიჟიკმა რამდენჯერმე მუქარის წერილი მიიღო. გამოძიება სწარმოებს.

✦ **სამღვდელოების კრება.** ეგზარხოსის განკარგულებით, 12 დეკემბრისთვის დაინიშნა ქართლ-კახეთის სამღვდელოების დელეგატთა კრება. კრებას უნდა დაესწროს თითო საბლაღოჩინოდან თითო დელეგატი. კრება მოხდება ძველ სემინარიის სადგომში. ეგზარხოსის განკარგულებით, დელეგატებს გარდა კრებაზე დასწრების ნება არავისა აქვს.

✦ **სამხედრო ბეგარაზე არ გამოცხადება**. როგორც ტფ. ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულოს ცნობებიდანა სჩანს, საკრებულოს უნდა გაეწვია წელს ჯარში 241 კაცი. დაბარებული იყო სულ 705 კაცი. ჯარში ჩარიცხას 190 კაცი. კენჭს ამოსაღებად ბევრი არ გამოცხადდა.

✦ **გლახების დევნა**. ტფ. პოლიცმეისტერი სწერს ბოქაულებს, გააძლიერონ დევნა ქუჩებში მოსიარულე გლახებისა, რადგან გამვლელ-გამომვლელთ აწუხებენო. პოლიციელებს და მეეზოვეებს ევალებათ, მათხოვრები დააპატიმრონ და პოლიციაში გაჰგზავნონ ხოლმე.

✦ **„ვაკე“**. ქალაქის გამგეობა აჭიანურებს ხიდის გაკეთებას ვაკეზე, სათავადაზნაურო გიმნაზიასთან. გიმნაზიის კომისიამ დიდი ხანია ასი თუმანი გადასცა ქალაქს. საზოგადოდ, გამგეობა ნაკლებად ფიქრობს ქალაქის ამ უბანზე, თუმცა მას შემდეგ, რაც საბჭომ გადასწყვიტა „ვაკეს“ შემოერთება, იგი ვალდებულია მისთვისაც იზრუნოს. ხიდის საძირკველი ამოყვანილია და დამთავრებას მაინცა და მაინც ბევრი აღარაფერი უნდა.

✦ **თელავში 20 ნოემბერს სასამართლოს მდივანს, რომელსაც ხაზინიდან ფული მიჰქონდა მოხელეთათვის ჯამაგირის დასარიგებლად, დაეცა ორი შეიარაღებული კაცი. მდივანი გაიქცა [illegible]**

✦ 27 ნოემბერს ღამე პოლიციელებმა [illegible] სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. პოლიციას არც არავინ დაუპატიმრებია.

✦ სამიკიტნოებისა, ფუნდუხებისა და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში დამკვრელების მოწვევას ვერ გაბედავენ, თუ გუბერნატორის ნებართვა არა აქვთ. პოლიცმეისტერი სწერს პოლიციელებს, დაათვალიერონ აღნიშნული დაწესებულებანი და თუ ვისმე არ აღმოაჩნდა ნებართვა, პასუხის გებაში მისცენ.

✦ **ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ**. ტფ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სწავლობს ორი ძმა ზუბაძე. ერთი იმ განუთვისებულებაშია, სადაც მშობლებმა ექვს-ექვსი თუმანი უნდა შეიტანონ. ზუბაძის მშობლებმა ვერ შეიტანეს და ბავშვი დაითხოვეს. კარგი იქნება ქველ-მოქმედებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და დაეხმარონ ღარიბ ოჯახს. ზუბაძე მკერავია და იმდენად ხელ-მოკლე, რომ ოჯახს ძლივსა ჰკვებავს. ამ ორი შვილის გარდა, ოთხი (უმცროსი) კიდევ სხვა ჰყავს. ოჯახი იმდენად გაჭირვებულია, რომ ავადმყოფ ბავშვისათვის ექიმი ვერ მოუყვანიათ. ადრესი: დუშეთის ქუჩა, № 35.

✦ ტფ. მცხოვრებმა ალექსი გრიგოროვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ 26 ნოემბერს, საღამოს 5 საათზედ, რვა კაცი რეტერის ქუჩაზე რევოლვერებითა და ხანჯლებით თავს დამესხა, მცემა და 2 მან. წამართვაო. 27 ნოემბერს დააპატიმრეს გიორგი რუხვაძე და სილიბისტრო დანელია, რომელთაც ჰბრალდებათ ამ მძარცველობაში მონაწილეობის მიღება.

✦ წმ. მარინეს ეკლესიის დეკანოზმა ტურიაშვილმა 27 ნოემბერს განაცხადა პოლიციაში, რომ ამ დღეს ნაშუადღევის 4 საათზედ, ტაძრის კარები გაუღია და ავედი სამრეკლოზე. ამ დროს ეკლესიაში შეიპარა ერთი ყმაწვილი, რომელმაც სამი ვერცხლის ჯვარი მოიტაცა და გაიქცაო.

✦ 27 ნოემბერს, კახეთის ქუჩაზე, თავის ბინაზე მომავალ მოქალაქეს გადამოვიკს, დაეცა რამდენიმე კაცი, გაჰხადა პალტო, ფიჟაკი, რომელშიაც გატარებულს 700 მან. ჰქონია და მიიმალა. ცოტას ხანს შემდეგ აბას აბათის ქუჩაზე დააპატიმრეს ერთი კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი. დაპატიმრებული აღმოჩნდა ბორჩალოს მცხოვრები ვასილ ტიტანოვი.

✦ 27 ნოემბერს, საღამოს $9^{1}/_{2}$ საათზედ, ტფ. ოლქის სასამართლოს წევრის კარასევის შვილი სერგეი 15 წლისა, მეორე გიმნაზიის მოსწავლე, ათვალიერებდა რევოლვერს. რევოლვერი გავარდა და ტყვია თავში მოჰხვდა. პატარა ხნის შემდეგ კარასევი გარდაიცვალა.

## ფელეტონი

### ცხოვრება და ხელოვნება

ლეონიდ ანდრეევი

(ლ. ანდრეევის „ცხოვრება ადამიანისა“, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა).

მართალი მოგახსენოთ, რუსულის ლიტერატურის თაყვანის მცემელი თავის დღეშიაც არა ვყოფილვარ. ხოლო შეუძლებელია კაცმა, თუ კი ეინტერესება საზოგადოდ ბედი ხელოვნებისა, ყურადღება არ მიაქციოს იმას, რომ რევოლიუციის ეპოქამ რუსეთის მწერლობაზედ განმაცხოველებლად იმოქმედა.

იყო დრო, როდესაც ევროპა, განსაკუთრებით კი საფრანგეთი, თითქო აღტაცებული იყო რუსულის ლიტერატურის „ორიგინალურის ღირსებებით“. დაკვირვებული ადამიანი კარგად მიხვდებოდა, რომ ასეთი განწყობილება სხვა მიზეზებისაგან წარმოსდგებოდა, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ლიტერატურასთან—საფრანგეთს და აქედან მთელს ევროპას რუსეთი მიაჩნდა რაღაც უძლეველ სამხედრო ძალად, რომელიც გარს ერტყა საიდუმლოებით მოცულ რუსეთის ხალხსა და სახელმწიფოს. იაპონიამ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ რუსეთი „კოლოსსი იყო თიხის ფეხებზედ აღგებული“, ხოლო რუსეთის რევოლიუციამ დაუმტკიცა ევროპას, რომ რუსეთის ხალხი განიცდის იმავე კრიზისს თავისს ცხოვრებაში, რაიცა სხვას განუცდია საუკუნეების წინად; რომ ამ კრიზისის რიგიანად გადაწყვეტისათვის რუსეთის ხალხი ჯერ ვერ არის საკმაოდ მომზადებული. ამას მოჰყვა ის, რომ რუსეთის ლიტერატურითა და კულტურით გატაცება, საფრანგეთის მიერ მოდად შემოღებული, ძალზედ დასცხრა და გაგრილდა. ტოლსტოი და დოსტოევსკი ჩვეულებრივ ნიჭიერ მწერლებად არიან მიჩნეული და მათში არავითარ „ალთქმის ქვეყანას“ აღარა ჰხედავენ.

მიუხედავად ასეთის რეაქციისა ევროპის განწყობილებაში რუსეთის ლიტერატურასთან, რევოლიუციის ქარცეცხლმა რუსეთის ლიტერატურის ნაპერწკალი თვალსაჩინოდ გააჩაღა და რუსეთის ლიტერატურას გასაოცარი სიცოცხლე დაეტყო. ტოლსტოი, დოსტოევსკი და, ცოტა არ იყოს, ტურგენევიც უფრო ოფიციალურის რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ და გრეჲ წოდებულ „სლავიანთა სულის“ გამომხატველად იყვნენ მიჩნეულნი. ხოლო „სლავიანთა სულის“ განსაკუთრებული თვისებები არაფერს ახალს არ შეიცავდნენ, როგორც ეს მშვენიერად აღნიშნა ფრანგ-კრიტიკოსმა ჟულ ლემეტრმა. განსაკუთრებული თვისება „სლავიანთა სულისა“ ეს არის,—ამბობს ლემეტრი,—შენს სხეულს ყურადღებას ნუ მიაქცევ, დაე რაც უნდა ის ჰქმნას და როგორც უნდა, ისე მოიქცეს, მხოლოდ გულში მუშტი დაიკარ და წამ და უწუმ წამოიძახე, „დანაშაულისა და სასჯელის“ მარმელადოვისა არ იყოს: „მე შევცოდე, ღორი ვარ“. საქმე იმაშია, რომ ამ გმირებს არა ჰშორდებათ მუდმივი ფიქრი ცოდვის შესახებ, მაგრამ ახალის ცოდვის ჩადენას კი ვერ უშლის იგი... ეს კი იმიტომ, რომ ეს ჩვენზედ შორს მყოფი ხალხი იმდენადვე განვითარებულია სულიერად, რამდენადაც ჩვენი წინაპრები იყვნენ საშუალო საუკუნეებში.., მართლაც ჩვენს მისტერიებში ხშირად შეჰხვდებით იმ მუდმივს ფიქრსა და ზრუნვას ცოდვილს ბუნებაზედ და იმავე დროს უკანაურის მხეცურ ინსტიქტების მორჩილება, თავისებურობა რუსეთის მწერლებისა და მათის ნაწერების მიმზიდველობა კი იმით აიხსნება, რომ ის ფსიხოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ჩვენში ოთხასის წლის წინად იყო, გამოხატული აქვთ ლიტერატურულის გემოს მქონე და ჩინებულის ნიჭის პატრონ მწერლებს და არა საბრალო „კლერკებს!“.*)

რუსეთის დღევანდელი ლიტერატურა ამ გზას სტოვებს და სრულიად ახალ სახეს იღებს. „განთავისუფლება ხორცისა“—ეს ლოზუნგი მართლაც რომ ახასიათებს რუსეთის ლიტერატურის დღევანდელ მიმართულებას: იგი თავისუფლდება ვიზანტიურისა და ორტოდოქსიულის სარწმუნოებრივს ფილოსოფიისაგან და მისის მუხრუჭებიდან და ბერძნულ-რომაულ კულტურისაკენ იწევს, გრძნობის თავისუფლების მოციქულად გამოდის და ხორცის მოთხოვნილებათა შეუზღუდველობას ესარჩლება; აიღეთ რომელიც გინდათ ახალგაზდა რუსი—მწერალი, რომელმაც ამ რამდენსამე წლიწადში გაითქვა სახელი, ყველგან ამ უმთავრესს მოტივს დაინახავთ: ამას ამოიკითხავთ ანდრეევისა და კუპრინის ნაწარმოებში, ამას ნახავთ სოლოგუბისა და არციბაშევის და სხვათა მოთხრობებში. ასეთი მიმართულება ლიტერატურისა კი სრულიად ახალს თესლებს შეიცავს არა თუ რუსეთის ლიტერატურისათვის, არამედ ევროპიელისათვისაც კი. საბერძნეთ-რომაული კერპთ-თაყვანისმცემლობის შეხედულება ცხოვრებაზედ ფეხს იკიდებს დღეს ევროპაში და ახალს რენესანსს გვიქადის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. დიდი მამამთავარი ამ მიმართულებისა ნიცშეა, რომელმაც ლიტერატურასა, ფილოსოფიასა და ცხოვრებას იდეალადა და კერპად „ოქროს ხუჭუჭ თმიანი მხეცი“ დაუსახა, თავისებური პროტოტიპი მომავალ ზეკაცისა, რუსეთში კი პირველი ტონის მიმცემი ახალის ლიტერატურისა ლეონიდ ანდრეევი შეიქმნა.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ანდრეევის ნაწერებმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია „სქემა ნაკურთხ“ წრეებში, ხოლო გრაფის ლ. ტოლსტოის მეუღლემ ანდრეევის წინააღმდეგ დიდის ზარითა და ზეიმით გამოილაშქრა, ზნეობის გამრყვნელ და თვით ზნედაცემულ ნაწერებსა ჰქმნისო უბედელია, გრაფის მეუღლე „ჭეშმარიტ ქრისტიანეს“ როლს გულწრფელად ასრულებდა, ხოლო სხვა ორპოფა და ორპირა ოფიციალური მცველნი ზნეობისა იმის ფეხს აყვნენ, მისის, ანუ უკეთა ვთქვათ, ლევ ტოლსტოის მეუღლის სახელის ავტორიტეტით ისარგებლეს და ანდრეევზედ იერიში მიტანეს. არ ვიცი, რამდენად იმოქმედა ამ გალაშქრებამ ანდრეევზე, მხოლოდ ის კი უეჭველია, რომ „უფსკრულისა“ („Бездна“) და „ნისლის“ („Въ туманѣ“) შემდეგ (რომელთაც გამოიწვიეს ალიაქოთი), ანდრეევს ამგვარი აღარა დაუწერია-რა—მაგრამ ის კი უეჭველია, რომ „ხორცის განთავისუფლების აზრები მას არ მოუშორებია თავიდან და სულ უკანასკნელად თავისს „ელეაზარში“ გამოხატა ბერძნულ-რომაულისა და ქრისტიანულის ფილოსოფიის მეტოქეობა, პირველის ნაყოფიერება, ხოლო მეორისა კი დამღუპველობა ცხოვრებისა და ხელოვნებისათვის. ასეა თუ ისე ანდრეევმა ჩვენ სწორედ მაშინ დაგვაინტერესა, როცა რუსეთის ლიტერატურის ოფიციალური პაპები დააფრთხო და მათი რისხვა გამოიწვია. უეჭველი იყო რაღაც იმალებოდა ახალი, უჩვეულო „სლავიანთა სულისათვის“ და მით უფრო ჩვენთვის საინტერესო ხდებოდა.

პირველად „ახალი“ შეხედულება „უფსკრულ“-ში გამოიხატა. არაკი მოთხრობისა ფრიად ორიგინალურია, თუმცა კი მარტივი. ახალგაზრდა ქალი და ვაჟი, სიყვარულით გატაცებულნი, დასეირნობენ. შემოაღამდებათ და გზაც დაებნევათ უდრან ტყეში. აქ თავზედ წააწყდებიან რამდენსამე გალეშილ კაცს. ეს კაცები თავზედ დაესხმებიან ვაჟს, ცემით გულს შეუღონებენ, ქალზედ კი ძალას იხმარენ და ნამუსს ახდიან. როცა ვაჟი მობრუნდება, დაიწყებს ქალის ძებნას, წააწყდება გულ-შემოყრილ ქალს და მისს ხელს მოჰხვდება „გაშიშვლებული სხეული“, მსუქანი და ცივი ხორცი, მაგრამ მკვდარი არ იყო და ნემოვეცკამ (ვაჟის

*) იხ. ჩვენი წერილი 1895 წლის გაზეთ „ივერიის“ № № 2 და 3.

◆ 15 ნოემბერს ქიზიყში მაჩხაანის ბოლოში სოფლის ყარაულებმა მოჰკლეს გიო ნატროშვილი, რომელიც კენჭის ამოღებას გაექცა და იმალებოდა.

◆ 17 ნოემბერს კახეთში, განჩაურში ყაჩაღები თავს დაეცნენ ვაჩნაძიანელს სანდრო კოჭიაშვილს და ძალით გაირეკეს 240 ცხვარი და ერთი სახედარი. იმავე დღეს შაშიანში ნახეს მოკლულ კაცის გვამი. იგი აღმოჩნდა კალაურელი ილია კოჭიაშვილი.

◆ 27 ნოემბერს პოლიციამ გაჩხრიკა ვენეციის ყავახანა სომხის ბაზარში. ყავახანაში საეჭვო ვერა აღმოაჩინეს-რა.

◆ კონსტანტინოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში არტემ კუზანოვს 27 ნოემბერს საღამოთი შეუვარდა სამი შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვა. გაიტაცეს ფულად 50 მან. და 80 მან. ნივთები.

◆ პეტრე დიდის ქუჩაზე მცხოვრებ მარტიროზ არუთინოვს სახლიდან 27 ნოემბერს მოჰპარეს 105 მანეთის ნივთები.

## ქუთაისის ქრონიკა

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერი ზუბოვი, გ. გუბერნატორის ბრძანებით, სამსახურიდან გადააყენეს; ზუბოვის მოქმედების შესახებ დიდი ხანია, რაც სწარმოებს საქმე; ორი-სამი თვის წინად, ნამესტნიკის განკარგულებით, საგანგებო მოხელემ გამოიძია ის საჩივარი, რომელიც ნამესტნიკის სახელობაზე მივიდა. ვიდრე გუბერნატორად გენერალი იაზიკოვი იყო, ზუბოვი კვლად განაგრძობდა სამსახურს, ეხლა კი დაითხოვეს. პოლიცმეისტერს ქალაქი ჯამაგირის გარდა აძლევს მისვლა-მოსვლის ხარჯის ფულსაც. მიუხედავად ამისა, აქაური პოლიციიმეისტრები, დაწყებული ლისოვსკიდან, სარგებლობენ ცეცხლის მქრობელ რაზმის ცხენებით ისე, რომ ყოველ დღე პოლიცმეისტერს დაკავებული ჰყავს ოთხი ცხენი, ამ ნაირად ცეცხლის მქრობელი რაზმი შესუსტებულია. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ რაზმი სავსებით ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. კარგს ინებებდა ქალაქის გამგეობა, თუ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და რაზმს თავის ცხენებს დაუბრუნებს.

◆ ქუთაისის მაზრის მომრიგებელ შუამავალს თავად დავით ნაჭარიძეს, თანახმად გუბერნატორის მინდობილებისა, დაუვლია მაზრა და შეუკრებია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად აკლია ხალხს საკვები. ნიჟარიძეს უკვე წარუდგენია გუბერნატორისათვის მოხსენება. როგორც ამბობენ, ნიჟარიძის აზრით, ხალხის დასაკმაყოფილებლად საჭიროა არა ნაკლებ ერთ მილიონ ფუთ სიმინდისა. ხსენებული მოხსენება განსახილველად გუბერნატორს გადაუცია განსაკუთრებულ კომისიისათვის, რომელსაც თავმჯდომარეობს საგლეხო საკრებულოს წევრი მელიქიშვილი.

◆ საგლეხო საკრებულოს წევრი ბიკოვი გაიგზავნა სენაკისა და ზუგდიდის მაზრაში იმ აზრით, რომ მან ხელმძღვანელობა გაუწიოს მომრიგებელ შუამავალთა დახმარებით მიწის მხომლების პარტიას, რომელსაც მინდობილი აქვს თავად მინგრელსკის მამულის გამიჯვნა. რამდენადაც ჩვენ შევიტყეთ, მინგრელსკის მამულის საგანგებო გაწინჯვა გამოიწვია იმან, რომ ეს უდიდესი მამული მთელ საქართველოში უნდა გადავიდეს საგლეხო ბანკის ხელში. ნამესტნიკის განკარგულებით დაინიშნა საგანგებო კომისია მამულის გასამიჯნავად.

◆ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ამ დღეებში განთავისუფლეს საპყრობილედან 14 კაცი, რომელთაც რუსეთში გადასახლება ჰქონდათ გადაწყვეტილი იაზიკოვის გუბერნატორობის დროს.

◆ გუბერნატორმა ყალბ მოხსენებისათვის სამსახურიდან დაითხოვა „ზარეჩნი“ განყოფილების ბოქაული.

◆ კლასიკურ გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეთა საქმე ოლქის სასამართლოს პროკურორმა გაგზავნა სამხედრო სასამართლოში.

◆ ქალაქის საბჭომ 27 ნოემბერს შესაძლებლად ვერა სცნო პურისა და ხორცის ნიხრის მომატება.

## ქართველი მაჰმადიანები და სამშობლო ენა

არავისათვის ახალი ამბავი არ არის, რომ ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა შორის სწავლა-განათლების წყურვილი კარგა ხანია დაიბადა, მაგრამ ცხოვრების ცნობილ პირობებისა გამო საქართველოს ეს ნაწილი დღემდე ვერ ეღირსა არა თუ ხეირიანს, უხეირო სკოლებსაც კი. მხოლოდ ეხლა ქობულეთის ნაწილში გიულ-აღა კაიკაციშვილისა და სხვათა მეცადინეობით უკვე შესდგომიან სკოლების დაარსებას. სკოლები გაუხსნია სამოსწავლო უწყებას, მაგრამ ამ სკოლებიდან სრულიად გამოუდევნია სამშობლო დედაენა და უთქვამს, რადგან თქვენ თათრები ხართ, სწავლა რუსულსა და ოსმალურს ენაზე იქნებაო. ქობულეთის წარმომადგენლებმა გიულ-აღა კაიკაციშვილმა, უსუფ აღა გოგიტიძემ, ეფენდი გეგიძემ, სასან აღა თხილაიშვილმა, აჰ. ბეჟუაშვილმა, ჰუსეინ აღა გოგიტიძემ და სხვათა, სულ 15-მდე კაცმა, საერთო მოხსენება წარუდგინეს ამ ორი დღის წინად ტფილისის გუბერნიის თავ.-აზნ. მარშლის თან. აღ. თავ. პ. ი. თუმანიშვილს. წარმომადგენელნი სთხოვენ თავად-აზნაურობას შუამდგომლობას, რომ უკვე გამართულ სამინისტრო სკოლებში სწავლა ქართულს ენაზე მოეწყოს.

აი, სხვათა შორის, წარმომადგენელნი რასა სწერენ თავიანთ მოხსენებაში:

„სწავლა-განათლების საქმეს ჩვენ კაი თვალით შევხედით. ქობულეთში სკოლების გახსნა ვითხოვეთ. ბევრის ხვეწნის შემდეგ გაგვიხსნეს სკოლა, მე შევწირე 4000 მანეთად ღირებული ადგილი, ასევე შეიძლენ სხვა ქართველი მაჰმადიანებმა: ზოგმა ქვა მიაწოდა, ზოგმა კირი, ზოგმა ხე-ტყე და ზოგმაც ფული და მუშაობა. ბოლოს, როგორც იქნა, გაგვიხსნეს სკოლები: ქობულეთს, ქედას, ხულოს, მაჭახლეს და მარადიდში. სკოლებში ყველგან შეიტანეს რუსული ენა, როგორც სახელმწიფო და ოსმალური, როგორც სჯულის ენა. ამ ენებისა კი ჩვენ ბავშვებს არაფერი ესმით. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი ბავშვები რუსულ ენასაც კარგად ვერ სწავლობენ. ჩვენ თათრებს გვეძახიან, მაგრამ ეს მართალი არ არის. ჩვენი ბავშვები დიდად იჩაგრებიან, რადგან მათ ქართულ ენას გარდა სხვა ენა არ იციან. ამიტომ გთხოვთ დახმარება გაგვიწიოთ, რომ ჩვენს სკოლაში დედა ენაზე სწავლებაც იქნეს შემოღებული. ჩვენ დიდი მადლობელნი ვართ „ჯეჯილის“ დამცველის, „ნაკადულის“ და სხვა წიგნების მოწოდებისათვის, მაგრამ საქმე უფრო კარგად წავიდოდა და წიგნის კითხვაც უფრო გავრცელდებოდა, რომ ჩვენს ბავშვებს დედა ენაზე ასწავლიდნენ. ქართულ ენის საშუალებით ახალგაზრდობა უფრო ადვილად შეისწავლის როგორც რუსულს, ისე ოსმალურს. რუს ბავშვს რომ ქართული ასწავლონ, იგი ვერ შეისწავლის, ასევე მოუვა თათრის, ფრანგის ბავშვს. ჩვენმა ბავშვებმა რაღა დააშავეს, რომ მათთვის ყველაფერი აკრძალულიაო“.

ასე ღაღადებენ ქართველი მაჰმადიანები და საჭიროა მათ ღაღადს ყურადღება მიაქციოს შეგნებულმა საზოგადოებამ.

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

**ილია ჭავჭავაძის ფონდის გასამდიდრებლად შემდგარ ქალთა წრეს** *)

გაზეთ „ისარის“ № 249 ში წავიკითხე თქვენი მოწოდება. ჩემის მხრით დიდ მადლობას გიძღვნით ასეთ თავიან განცხადებისათვის და მოწოდებისათვის. დიდის სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ყოველგვარ თქვენ მოთხოვნილებაში ჩემის შეძლების დაგვარად. ამასთან ერთად გაახლებთ სამ მანეთს (3 მ.) ერთ დროულ წვლილს. მომავალ იანვრიდან 1908 წ. კი ყოველთვიურ ჯამაგირიდან ვდებ თითო მანეთს ამ სასარგებლო საზოგადოებრივ კეთილ საქმისათვის, ასე რომ წლიურად მიიღებთ ჩემგან 12 მანეთს. ამასთანავე გთხოვთ უმორჩილესად, რაც ასეთი კეთილ-საიმედო საქმე იყოს, ყოველთვის მაცნობოთ, მე ყოველ შემთხვევაში მზადა ვარ მივიღო მონაწილეობა ჩემის შეძლების დაგვარად ყოველ მაგვარ საქმეში.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე

**ა. ზარათაშვილი.**

*) ეს წერილი ქალთა წრემ გადმოგვცა დასაბეჭდათ. რედ.

## სასამართლო

**დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცება.**

(შემდეგი *)

1906 წლის 11 მაისს დააპატიმრეს კაპიტანი გედევანიშვილი და პორუჩიკი ცაგარელი. გედევანიშვილმა პირველად ჩვენების ჩამორთმევის დროს განაცხადა შემდეგი: დუშეთის ხაზინის გაძარცვის დამეს ჩემდამი რწმუნებულ როტასთან ერთად ვიყავი სოფ. ჯალისში. გავიგე თუ არა ფულის გატაცების ამბები, მაშინვე ზომები მივიღე გამტაცებელთა შესაპყრობათ, მაგრამ მათ კვალს ვერ მივაგენი. ტფილისში მოსვლისას ხშირად ვხედავდი ჩემს მეგობარს ვლ. ცაგარელს, რომელმაც 20 აპრილს დეპეშა გამომიგზავნა, მიბარებდა ტფილისში თავის ძმის ალექსანდრეს სანახავად. 10 მაისს მცხეთაში ვიყავ. ქუჩაში ჩემთან მოვიდა ერთი კაცი, რომელსაც სახით კი ვიცნობდი, მაგრამ სახელ-გვარი არ ვიცოდი, და გამომელაპარაკა სახ. სათათბიროში არჩევნების შესახებ. მითხრა, შენი ძმა ექიმი გედევანიშვილი შესაძლებელია გაგვიდეს, თუ კი საჭირო ხმას მიიღებსო. ამიტომ უცნობმა მთხოვა, ბარათი მისწერეთ ცაგარელს, იმას ბევრი ნაცნობები ჰყავს და დახმარებას გაუწევსო. სახლში შევიარე და დავსწერე ბარათი შემდეგის შინაარსისა: არჩევნების საქმე, როგორც სჩანს, ცუდად მიდის, საჭიროა ათი ათას ამომრჩეველის ხმა. მოელაპარაკე ჩვენებს და მოაწყე ეს საქმე. კვირას მე თვითონ მოვალ და მოვილაპარაკოთ“. ეს წერილი გადავეცი უცნობს. როდესაც იმასთან ერთად გავიარე, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ შევხვდი ბოქაულს სულხანიშვილს. ის კაცი ნაცნობი აღმოჩნდა სულხანიშვილისა. ბოქაულმა მითხრა, ის კაცი ციმაკურიძე არისო.

ცაგარელმა განაცხადა: გედევანიშვილს ვიცნობ დიდი ხანია. აპრილში თუ მაისში მართალია გამოვიწვიე გედევანიშვილი, მაგრამ არა ჩემი ძმის სანახავად, არამედ ოპერა „ფაუსტის“ სანახავად, რომელიც ქართულად უნდა დაედგათ, ვიცნობ კონს. ციმაკურიძესაც, რომელსაც თავისს დღეში არ უთხოვნია ჩემთვის, გამომეხმო გედევანიშვილი და, საზოგადოდ, არავითარი მოთხოვნილებით ჩემთვის არავის არ მოუმართავსო.

გაჩხრეკის დროს გედევანიშვილის სახლში იპოვნეს 1840 მანეთი ქაღალდის ფული, ცაგარელთან 508 მანეთი. გედევანიშვილთან ნახეს აგრეთვე დეპეშა, გაგზავნილი დამის 1 საათსა და 20 წუთზე და მიღებული მცხეთაში 2 საათსა და 35 წუთზე, რომელშიაც სწერია: „მცხეთა, კაპიტანს გედევანიშვილს, დაუყოვნებლივ მოდი, ლადო“.

გორის მაზრის უფროსის თანაშემწემ გაჩხრიკა სოფ. რველში გიორგი თაქთაქიშვილის სახლი. კაზაკმა ივანე სლიუსარენკომ კიბის ქვეშ აღმოაჩინა ქაღალდში გახვეული ორი დასტა ქაღალდის ფულისა.

პოლიცია, სხვათა შორის, ვლადიმიროვის ფოტოგრაფიაში წააწყდა ფოტოგრაფიულ სურათს, სადაც ლეო და გოგია კერესელიძე დახატულია ვანო ვასტანგ ქართველიშვილთან. გაჩხრიკეს ქართველიშვილს ბინა და უნახეთ წერილები, ლეო კერესელიძის მიერ [illegible] და რუსეთის სხვა [illegible]. ამ წერილების [illegible] რუსის მთავრობამ [illegible] საშუალებით შეჰკითხებოდა ჟენევის ცენტრალურ პოლიციის დირექტორს. იქიდან მოვიდა ცნობა, რომ ლეო კერესელიძესთან ჟენევაში სცხოვრობს ვიდაც ივანე ციციშვილი, რომელსაც კერესელიძე თავისს ძმას ეძახის. ციციშვილს ჰყავს ცოლი თამარ და შვილი. ციციშვილს აქვს ტფილისის გუბერნატორის მიერ მიცემული პასპორტიო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ტფ. გუბერნატორს 1906 წელს 22 აპრილს მართლა გაუცია საზღვარ-გარედ წასასვლელი პასპორტი თავ. კონსტანტინე ივანეს ძე ციციშვილის სახელზე. პასპორტის მიღებაზე ხელი მოუწერია რევაზ ციციშვილს და განუცხადებია, რომ ჩემი ძმა ავად არისო, თვითონ მოსვლა არ შეუძლიან და მე გამომგზავნაო. ბერნში რუსეთის კონსულის განკარგულებით, დააპატიმრეს ლეო და გიორგი კერესელიძეები. გიორგი კერესელიძეს უპოვნეს პასპორტი კონსტანტინე ციციშვილის სახელზე.

ზემო ხსენებულ საქმის გამო პასუხის გებაში მისცეს იოსებ გედევანიშვილი. ვლ. ცაგარელი, აზატოვი, ციმაკურიძე. კიკნაძე, ჩიქოვანი, ივანე და გიორგი თაქთაქიშვილები, კონსტანტინე ციციშვილი და ვახტანგ ქართველიშვილი. დამნაშავედ თავი არავინ არ იცნო და განაცხადეს:

გედევანიშვილმა: დუშეთის ხაზინის გაძარცვაში არ მიმიღია არავითარი მონაწილეობა. ბრალდება დამყარებულია შემდეგ უცაბედ შემთხვევაზე. მე ვიცოდი, რომ ტფილისში არსებობდა ფედერალისტთა პარტია, რომელიც 1905 წლის დამლევს ორად გაიყო,—ზომიერ «ავტონომისტებად» და „რევოლიუციონერებად“. უკანასკნელთა პროგრამაში შედიოდა, სხვათა შორის, ტერორისტული აქტიცა. მე წინადაც ვიცნობდი პარტიის ზოგიერთ წევრებს და პარტიის გაყოფის შემდეგ შემეშინდა, ვაი თუ რევოლიუციონერებმა მალის ხმარება დაიწყონ მეთქი და ჩემის მეგობრის ვლ. ცაგარელთან ერთად მოლაპარაკება გავმართე ტერორისტებთან, რათა ისინი შემეჩერებინა უკიდურესს მოქმედებისაგან. ამისათვის გავცნობა მომიხდა ტერორისტებთან, აზატოვთან, ციმაკურიძესთან, იგ. თაქთაქიშვილთან, ჩიქოვანთან, კიკნაძესთან და სხვებთან, რომელნიც თავიანთ თავს მებრძოლ რაზმელებს უწოდებდნენ. ფედერალისტთა ზომიერი ნაწილი, რომელსაც თანაუგრძნობდით მეც ცაგარელიც, მათ ხულიგანებს ეძახდა, რადგან სხვა და სხვა პირთ პარტიის სახელით მოტყუებით ფულს ართმევდნენ და პარტიის დადგენილებას არ ემორჩილებოდნენ. მათში ნიჭით და მოხერხებით ცნობილნი იყვნენ ძმები კერესელიძეები. ფულის გატაცების შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე და შემთხვევით ჩამოვედი ტფილისში, ყორღანოვის ქუჩაში, როცა ჩემის ძმის ექიმის სახლში მივდიოდი, მომიახლოვდა აზატოვი ვიღაც უცნობ ქართველთან ერთად და მითხრ: „დუშეთის საქმის“ თაობაზე მივ-

---

გვარია)“ თრთოლვით გადაჰხადა ტანისამოსი... ხელი დაადო გულზედ, გული სუსტად და თანასწორად უცემდა, და როცა სახე მიუახლოვა სახეს, იგრძნო სუსტი სულთქმა და მიხვდა, რომ ზინოჩკა (ქალის სახელია) გულ-შემოყრილი კი არ იყო, მას დასუსტებულს ჩასძინებოდა... მისი სხეული უტყვადა და უძრავად იყო. ეს სხეული უმწეო იყო და ადვილად ხელ-მისაწვდომი და სწორედ ამიტომაც რაღაც შესაბრალისი იყო და თანაც გამახელებელი, რაღაც უცნაურის, უძლეველის მიმზიდველობით იყო ალსავსე... ორნაირი გრძნობა, გამოწვეული კაბის მატერიისა და შიშველის სხეულის ხელის შეხებით, ისეთი მახვილი იყო, როგორც დანა და ისეთივე მიუწვდომელი, როგორც სიგიჟე. ვაჟი ერთსა და იმავე დროს მომგერებელიც იყო და შემტევიც. იგი ეძიებდა შველას გარშემორტყმულ ტყეში და სიბნელეში, მაგრამ ტყე და სიბნელე არ ეწეოდა; აქ მხეცთა მეჯლისი იყო და ვაჟი უეცრად მოექცა ადამიანის გასაგებსა და მარტივ ცხოვრებას იქით, იგი ჩაეხვია დამწველ ვნებათა ღელვას, რომლითაც ჰაერში იყო გაჟღენთილი... ხელ-ახლად ეცა მოდუნებულს სხეულს, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, ჰკოცნიდა, სტიროდა და ჰგრძნობდა თავის წინ რაღაც უფსკრულს, ბნელსა და საშინელს, თანაც მიმზიდველს... საოცარის სისასტიკით ზელდა თბილს, ხელში მომყოლ სხეულს... უფრო ძალზედ მიიკრა თოთო, უძლური სხეული, რომელიც უსიცოცხლოდ ნებდებოდა კაცს და თვით ამით აღვიძებდა მასში ველურ ვნებას... ერთ წუთს ცეცხლის მფრქვეველმა საშინელებამ მოიცვა მისი აზრი და შავი უფსკრული გადაშალა იმის წინ... შავმა უფსკრულმა დანსთქა იგი.“

ამ მოთხრობაში ცხადად, თვალსაჩინოდ აქვს ანდრეევს გამოხატული ფატალური ძლიერება, მომხიბლველი და წარმტაცი საშინელება, უძლეველი და თანაც ველური სიმშვენიერე, აღმგზნებელი სისასტიკე ხორცისა, სხეულის, უცნაური და თავბრუდამხვევი ძლიერება სქესობრივის ინსტინქტისა, რომლის სიმბოლოც არის ხორცი. „გაშიშვლებულმა სხეულმა“ დააავიწყა ნემოვეცკის პირადი ფიზიკური შეურაცხყოფა და ტკივილები, გაუპატიურება და დაცინვა საყვარელის არსებისა; მას დაავიწყდა ყოველივე მოსაზრება, მისი გონება მისის ხორცის, საზოგადოდ, ხორცის მონა შეიქმნა და „შავ უფსკრულში დაინთქა“. ხორცის მოთხოვნილება უძლეველია, ხორცის ძლიერება საოცარია, ხორცის ბატონობა შეუდრეკელია—აი, მშვენიერად დასურათებული აზრი ანდრეევის „უფსკრული“-სა. ეს აზრი, თითქო აქა-იქ შელებილია ქრისტიანობრივის ასკეტიზმის ზედგავლენით. ხორცის მოთხოვნილება „შავ უფსკრულად“ არის წოდებული. გაშმაგებულ ნემოვეცკის შესახებ ამბობს, რომ „ყრუდ ჩურჩულებდა და ერთად-ერთი ადამიანური თვისება შერჩენოდა ცრუობაო“, ე. ი. ნემოვეცკი პირუტყვად იყო გადაქცეულიო, ასე რომ კაცს ეგონება, თითქო სხეულის მეუფება—ანდრეევისათვის დაწყევლილი რამაა და შეჩვენებული, ვით ქრისტიანულ მამამთავრისთვისაო. რასაკვირველია, საფიქრებელია, რომ ანდრეევი ასე ადვილად ვერ გაექცეოდა საუკუნეთა კულტურის დაღს; რასაკვირველია, „სლავიანთა სულს“ ეგრე უეცრად ვერ მოიშორებდა. მაგრამ ასეთი მიდრეკილება მწერლისა სუსტია და მეტად ბუნდოვანი. მართლაც „შავი უფსკრული“ გამოურკვევლობისა, გამოუცნობლობისა და უცნაურის დემონურის ძლიერების გამომსახველი უფროა, ვიდრე შეჩვენებული და შეს ჩვენებული რამ. ან რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ ფრაზებს—„ნემოვეცკის ადამიანის თვისებიდან მარტოდა ტყუილის თქმის ნიჭი შერჩენოდაო?“ მერე თუ კი ტყუილი, რომელიც ზნეობრივობის უარყოფაა, ადამიანის თვისებას შეადგენს და ძლიერ თვისებათაგანს, თვით ადამიანობა, როგორც ინსტინქტების სამეუფოსთან დაპირდაპირებული, ვითომ რაღა წითელი კვერცხია და არჩევანი რომელს უნდა მივსცეთ, ანა და შესაძლოა განა ადამიანის თვისებათა ასე სასტიკად გაყოფა, რომ ერთ კატეგორიას ადამიანები უწოდოთ, მეორეს არა ადამიანები. ეს სქოლასტიკური დანაწილება იქნება, რომლის სიყალბე უეჭველია, და ამას არც ანდრეევი კისრულობს, რასაკვირველია.

ასეთისავე საშინელის მიმხიბვლელის სურათითა აქვს დახატული ანდრეევს სქესობრივის გრძნობის გაღვიძება ახალგაზრდა ვაჟში მეორე მოთხრობა „ნისლ“-ში. საუცხოვოდ აქვს აწერილი მთელი განვითარება ამ სიცოცხლის მომფენისა და მშვენიერის გრძნობის გაჩენისა, გაჯავრებისა და დამღუპველად გარდაქმნისა. ყმაწვილ ვაჟს სქესობრივი გრძნობა გაეღვიძება, მაგრამ დღევანდელ ცბიერ და ორპირ საზოგადოების წარმომადგენლებს ასეთი დიდი მოვლენა ყმაწვილის ცხოვრებაში მომაკვდავ და სამარცხვინო რამედ მიაჩნიათ, დატუქსვისა და დაგმობის მეტ წამალ ვერ პოულობენ მათთვის და არავითარ სერიოზულ ყურადღების ღირსად არა სთვლიან. იმიტომ ხდება ისეთი უბედურება, როგორიც „ნისლის“ ვაჟს დაემართება. ცუდად, ურიგოდ მიმართული და დაკმაყოფილებული გრძნობა შეჰყრის საოცარსა და საზიზღარ ავადმყოფობას, რომელიც სიცოცხლეს უშხამავს და სამარის კარამდის მიჰყავს. ნერვებ აშლილი ავადმყოფობით, გულმოწყალული და უცნაურად საოწარკვეთილი ვაჟი მოჰკლავს ერთ იმ ქალთაგანს, რომელმაც იგი თავისდა უნებურად დაღუპა, და თავის თავსაც ზედ დააკლავს.

ყოველივე პირობა ისეთი იყო, რომ ვაჟს ამ გვარად უნდა დაებოლოვებინა თავისი ცხოვრება, მაგრამ მკაცრის სინამდვილითა და სისწორით არის დასურათებული ბრძოლა ვაჟისა „ქუჩის ქალთან“, მისი ალერსი, რომელიც მისის წმინდა სიყვარულის საგანთანაა მიმართული და საზიზღარ სინამდვილის იქით აპყრობს თვალებს სიცოცხლის განმაცისკროვნებელ საგნისაკენ. „ქალი“, ამით გააფთრებული ყმაწვილს აღარ ნებდება, ვაჟი კი აღგზნებული ფიზიკურად თხოულობს გრძნობების დაკმაყოფილებას და რაკი „ქალი“ თავის უშვერის სიტყვებითა და ქცევით მას მწარე სინამდვილის ლაფში ჩაახედებს, გრძნობებს კი დაუცხრობელს უტოვებს, იგი შურს იძიებს ამ საბრალო არსებაზედ, დღევანდელ უმსგავსოების მსხვერპლზედ, და თვითვე ამ უმსგავსოების მსხვერპლი გახდება.

აქაც ანდრეევი ხორცის მოთხოვნილების უძლეველობასა და გარდუვალობას გვიხატავს. აქაც, როგორც „უფსკრულ“-ში ვაჟი წმინდა გრძნობითაა გატაცებული, მაგრამ ქალის სხეული, თბილი ხორცი ქალისა თავბრუს ასხამს, ყველაფერს ავიწყებს, სრულ ყმადა ხდის აშლილ გრძნობებისა მათ და ერთს „შავ უფსკრულში“ ჩასძირავს, მეორეს კი თვით სიცოცხლეს მოასპობინებს, ესდენ ძლიერებით მოსილად გვიხატავს იგი სხეულის მოთხოვნილებას, ხორცის სამეუფოს.

ანდრეევი საოცარის სისასტიკით ჰგმობს დღევანდელ საზოგადოებას, რომელიც ხელს უშლის ამ გრძნობის თავისუფალ განვითარებას, ათასნაირ კედელს უმართავს გზაზედ და ცბიერებითა და სიცრუით ალსავსე ზნეობრივობის ჯაჭვებით ჰკრავს უძლეველ გრძნობას. ამას კი ის მოჰყვება ხოლმე, რომ მშვენიერი ყმაწვილი სიცოცხლისა და ცხოვრების იმედი და საფუძველი იღუპება... „სამოცდაათორმეტი პროცენტი მცხოვრებთაო“, ამბობს „ნისლის“ ვაჟის მამა, გარყვნილებით დაღუპულიაო“, დიაღ გარყვნილებით, ე. ი. იმის გამო, რომ ბუნებრივსა და აუცილებელ გრძნობას თავისი გზა არა აქვს მიჩენილი, იმის გამო, რომ ამ გრძნობას უგუნური ომი აქვს გამოცხადებული, იღუპება თვით საზოგადოება, ხალხი და კაცობრიობა.

**გიგო იაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

მართლათ გიგო კერესელიძეს დაჰ იმან გვითხრა, გადევანიშვილს მივეცი 114000 მანეთიო. ეს ამბავი მაფიქრებინებს რომ აზატოვი და იმასთან მყოფი ქართველი კაცი მართლაც იყვნენ გიგო კერესელიძესთან ფულის სათხოვნელად, მით უფრო, რომ გაგებული ჰქონდათ, ლეო კერესელიძეს ბევრი ფული წაიღო და საზღვარ გარედ გაიპარაო. გოგია კერესელიძეს ისინი რომ თავიდან მოეშორებინა, ალბად ჩემთან გამოგზავნა. მე კი გოგია კერესელიძე არ მინახავს და არავითარი ფული იმისაგან არ მიმიღიაო. აზატოვს და იმ უცნობს ჩემი აღშფოთება გამოუცხადე; იმათ მოგვიგეს, ჩვენ კერესელიძეს არა ვცნობთ, ცნობით მხოლოდ შენ და ცაგარელსაო. რამდენისამე დღის შემდეგ, როცა მცხეთაში ვიყავ, ცაგარლისაგან დეპეშა მოვიდა, მთხოვდა ქალაქში ჩამოსვლას. როცა ჩავედი, მიამბო, რომ, როგორც ეტყობა, ლეოს და გოგიას მოუტყუებიათ ეს ხულიგანები, საშველს არ მაძლევენ და საჭიროა როგორმე საქმე დავაშოშმინოთო. 10 მაისს აზატოვი ხელ ახლა გაჩნდა მცხეთაში და საღამოზე სახლიდან რომ გამოვედი, შემხვდა ციმაკურიძე და ნესტორ მაღალიშვილთან ერთად. იმათ მითხრეს, გოგიამ მოგვატყუა, არაფერი არ მოგვცა და ისე გაიპარაო, ამიტომ მე მოხოვდნენ, მიმეცა მათთვის 114 ათას მანეთის ანგარიში. მე ვუთხარი, არავითარი დამოკიდებულება კერესელიძესთან არა მაქვს მეთქი და წინადადება მივეცი, ჩემი სახლი გაეჩხრიკათ. შემდეგ ციმაკურიძემ და იმისმა ამხანაგებმა მთხოვეს, რომ პარტიას მიეცა მათთვის სე ხად 20 ათასი მანეთი, რაზედაც ვუპასუხე, თუ მართლა პარტიამ მიიღო კერესელიძისაგან 22 ათასი მანეთი, შემიძლიან ვთხოვო ცაგარელს და იქნებ იმან საქმე გააწყოს მეთქი. მართლაც მივწერე ცაგარელს ბარათი. სიფრთხილის გულისათვის ვწერდი ვითომ არჩევნების თაობაზე, ნამდვილად კი ლაპარაკი ფულზე იყო.

(დასასრული იქნება)

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ბათუმი** საშინელი დღეები იყო 18—19 და 20 ნოემბერს შავ ზღვაზედ!.. ქარიშხალი, ბნელი-ბურუსიანი ღამეები—სწორედ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა! მეზღვაურებს გზა-კვალი აერიათ და სასოწარკვეთილებას მიეცნენ. რომელმა გემმა სადაც მოასწრო, იქ შეაფარა თავი; ნაპირს, ბაქანს ვერ მოადგნენ, რადგან უოველთვის ნაპირზე უფრო ძლიერია ღელვა და ტალღათა სრბოლა. ამატომ ნაპირიდან რამდენსამე ას საჟენზედ ჩაუშვეს ღუზა, მაგრამ აქაც, როგორც ნაფოტს, ისე ათამაშებდა გეებერთელა გემს ტალღა. მგზავრები როგორც იყო გადმოსხეს ნავებზედ. რა დასდგეს ფეხი ხმელეთზე მგზავრებმა, მათ სიხარულის ცრემლები გადმოუარეს. ორთქლ-მავალ გემებს ამისთანა ღელვა იშვიათად დუშავს ხოლმე, თუ, რასაკვირველია, შემთხვევით არსად გარიყა. სამაგიეროდ, იალქნიანი გემები ხშირად იღუპებიან. აი ამჯერათაც ბევრი დაიღუპა. რუსთა საზოგადოების გემ „ვესტა"-ს ოც-დაორი თათარი გადაერჩინა 19 ნოემბერს ღამე. საცოდავები მე თვითონ ვნახე გემზედ ნახევრად ტიტველ-მშიერნი. მათ სთქვეს: „ორმოც კაცზე მეტი ვიყავით გემზედ; საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, დაგვლეწა გემი და ჩვენც ქანც-მოწყვეტილნი ვცურავდით. სწორედ იმ დროს შემოიარა „ვესტამ" და გადაგვარჩინაო". კაპიტნის თანაშემწემ არსენიევმა მიამბო: „განთენებისას, როცა ნისლმა ცოტა გადაიარა, დავინახეთ მრავლად კაცთა გვამები, ზღვაზედ მოტივტივებული. ღამე კი გვესმოდა წივილ-კივილი, მაგრამ სიბნელისა გამო ვერაფერს მივაგენითო".

არც ბათუმი დაგვიტოვა ღელვამ უვნებლად. ბევრგან ნაპირები წაახდინა, მაგალითად ბულვარისა და ალექსანდრეს ბაღისა. ვაჟთა გიმნაზიის კარ მიდამო ქვიშით გაავსო.

**ფრ. ინაზარიძე.**

—

**კახეთი.** უველგან მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც ძირს უთხრიან ხალხის კეთილდღეობას და ამავე დროს გაიძახიან, ხალხის სასარგებლოდ ვმოქმედობთო. დიახ, არიან ისეთი პირნი, რომელთაც მიზნად გაუხდიათ ცარცვა გლეჯა სხვის სახელით, დამუქრება, პირად ინტერესების გულისთვის ჯავრის ამოყრა და ნატაცებით განცხრომით ცხოვრება. ისინი ორნაირად არიან საფრთხენი. მალვით თუ ცხადლივ სხვის ოფლით ნაშოვნს ითვისებენ და საქმეს უტეხავენ იმათ, რომელნიც მათვე სდევნიან და რომელთაც ხალხის თვალში ცოტათ თუ ბევრად ნდობა მოუპოვებიათ.

ვისაც კახეთში ერთი თვე მაინც უცხოვრია და თვალყური უდევნებია აქაურ ვითარებისათვის, ის ადვილად მიჰხვდება, ვისზე მოგახსენებთ. ქურდობა-ტაცობის გარდა ერთ ხანად ტერორიც გაზშირდა. კერძო ინტერესის გულისთვის, თუ სხვა რაიმე მიზეზით, უფრო-კი პირველი უნდა უოფილიყო, ადვილად გაიგებოდა, ისე მოუხმობდნენ ადამიანთა ხოცვას. სიცოცხლეს ფასი სრულებით დაეკარგა. მამასახლისი იყო, კერძო კაცი თუ მოხუცი ადარავის ინდობდნენ. ვის უნდა ეკადრა, რომ მგზავრად მიმავალი, სიკვდილის პირას მისული მოხუცი დედაკაცი მოეკლა და გზაზე დაეგდო, თუ არა ნაძირალას და ბოროტ სულს!

აი რისთვის გავარდა ცუდი ხმა კახეთზე. ამასვე გამოუწვევია ერთი ბატალიონის გამოგზავნა თელავში. მართალია, კახეთში არც ისეთი ამბები ხდებოდა, როგორც ხმები გაიტანეს, მაგრამ ამაშიაც ხალხს არავითარი წილი არ უდევს. შედეგი კი სულ მშვიდობიან მცხოვრებთ დააწვათ კისერზე. ეხლა კახეთის სოფლებში მთავრობის მამასახლისები გაამწესეს, რომელთაც სტრაჟნიკებიც ახლავან. მამასახლისს 50 მან. ექნებათ, ხოლო სტრაჟნიკებს თითოს 30 მან. როგორც მამასახლისი, ისე სტრაჟნიკები სულ სოფლის ხარჯზე იქნებიან. რასაკვირველია, ამათი შენახვა იაფად არ დაჯდება.

24 ნოემბერს, დილის 10 საათზე ტფილისიდან ავტომობილით ჩამოვიდნენ ნამესტნიკის ქალი და რძალი ამალითურთ. ტფილისიდან დილის 6 საათზე გამოსულიყვნენ, 10 საათზე, ესე იგი ოთხი საათის შემდეგ უკვე თელავში იყვნენ, პატარა ხნის შესვენების შემდეგ წინანდალში გაემგზავრნენ მაზრის მარშალ თავ. ჭავჭავაძისას. ერთის საათის შემდეგ ისევ თელავში ამოვიდნენ, დაათვალიერეს წმ. ნინოს სასწავლებელი და ოთხის ნახევარზე უკან ტფილისში გაემგზავრნენ. ავტომობილში სულ 5 სული იჯდა, მემანქანის გარდა.

ავტომობილს სრულიად დაუბრკოლებლივ გადმოუვლია გომბორის მთა. თელავში იგი პირველად მოვიდა, რის გამოც ბევრი ხალხი ათვალიერებდა. როგორც ეტყობა და თვით მემანქანემაც გადმოგვცა, გომბორის გზა არ დაუშლის ავტომობილის მიმოსვლას. ამ მხრივ დაბრკოლება არა უოფილა და მსურველთ შეუძლიანთ მოაწყონ მიმოსვლა. მართალია, ამ რამდენისამე წლის წინად თელავის მოქალაქემ ბაბუნიძემ შეიძინა ავტომობილები თელავში სასიარულოდ, მაგრამ გამოცდის დროს აღმართზე გასძნელებოდა ამოსვლა, რის გამოც თავი მიანება. ალბად, აქ რაიმე მიზეზი იქნებოდა

ამისთანა ავდარსა და ლაფში ავტომობილის ასე მწრაფად გამოვლამ დაამტკიცა, რომ არც გზა დაუშლის მიმოსვლის მოწყობას, არც ტალახი, და არც გომბორის აღმართები. მერე როგორ საჭიროა თელავ-ტფილისის შუა მიმოსვლის გაუმჯობესება. ამ ბოლო დროს ბევრნი იღებენ ავტომობილის სიარულის ნებართვას სხვა და სხვა ქალაქებსა და დაბებს შორის. მივაქცევ ასეთ პირთა ყურადღებას თელავ-ტფილისის შუა მიმოსვლის მოწყობას, რადგან ეს გზა სხვებზე უფრო შემოსავლიანია. რაც უნდა ძვირი იყოს ბილეთი, ერთი თავისუფალი ადგილი არ დარჩება და პატრონსაც კარგი მოგება ექნება. წამსვლელი მზად იქნება მეტი გადაიხადოს, ოღონდ ედიკართვის ომნიბუსებით ჩანჩახს მოჰშორდეს და დღეღამის ნაცვლად 4--5 საათში მიეცეს შეძლება ტფილისში ჩასვლისა.

**იუდი.**

—

**ველევი** (გორ. მაზრა). სოფლის მცარცველები და უჩადლები განაგრძობენ უიმისოდაც გაჭირვებულ ხალხის დაწიოკებას. 17 ნოემბერს ღამე რამდენიმე შეიარაღებული კაცი მისდგომია ველევის მცხოვრების დათია მარანელის სახლს, კარები დაუკაკუნებია და დაუძახნია, თქვენს სახელზე წერილები მოგვაქვს, გაგვიღეთ კარიო. ამ გვარის ხრიკით შევარდნილან სახლში და ფული მოუთხოვნიათ რაკი უარი მიუღიათ, მოჯამაგირისათვის თოკი მოუტანინებიათ, დათიასთვის მოუბამთ და წყლის პირისკენ დასახრჩობად წაუყვანიათ. შეშინებულ დათიას აღუთქვამს, 22 ნოემბრისათვის მოგიხერხებთ ფულს რამდენსაც შევიძლებო. ამის შემდეგ მარანელი გაუნთავისუფლებიათ. **აქაური.**

## რუსეთი

—:—

✦ **800 მილიონ მანეთის მემკვიდრენი.** პეტერბურგის კონსერვატორიის ნაპროფესორალი რუბეცი აცხადებს რუსეთის გაზეთებში შემდეგს: „მალოროსიის გეტმანმა პოლუბოტკომ 1722 წელს ინგლისის ბანკში შეიტანა დიდი თანხა უვადოთ. ამ ჟამად თანხა სარგებლით უდრის 800 მილიონ მანეთს. ვთხოვ ყველას, ვ ნც შორეული, ან მახლობელი მემკვიდრეა პოლუბოტკოსი, მომავალ წლის 15 იანვარს მოვიდეს ქ. სტაროდუბში, ჩერნ. გუბერნიაში." მემკვიდრე ბევრი აღმოჩნდა. მათ შორის: გუდოვიჩი, ნემიროვიჩ დანჩენკო, სტაროსელსკი, დოროშენკო, სამოილოვიჩი და სხ. 1840 წელს ინგლისის ბანკს ამ საქმისთვის რუსეთში გამოუგზავნია რამდენიმე აგენტი, რომელთაც შეუდგენიათ სია მემკვიდრეებისა.

✦ **ჯამაგირების მომატება.** რუსეთის გაზეთები ირწმუნებიან, რომ 6 დეკემბერს ხელმწიფე გამოაცხადებს მანიფესტს, რომლითაც აფიცრებს ჯამაგირები მოემატებათ. ამბობენ, სულ მცირე ჯამაგირი 100 მანეთი იქნებაო. გარდა ამისა, ამავე დღეს გამოვა ახალი ბრძანება შესახებ აფიცრების ტანისამოსის ფორმისა. შემოღებულ იქნება ახალი ფორმა.

✦ **ფრანგ მოგზაურის დაჭრა.** ამას წინათ ოდესაში ჩამოსულა ფრანგი მოგზაური ქერო. ამას დასდევნებიან ჭეშმარიტ რუსთა რაზმელები, რადგან ებრაელი ჰგონებიათ, და დაუჭრიათ დანით. მთავრობის მომხრე გაზეთები სწერენ, კითომ ქერო ებრაელებმა დასჭრეს, რადგან ჭეშმარიტ რუსთა რაზმელი ეგონათო.

✦ **პორტ არტურის საქმე.** 26 ნოემბერს პეტერბურგში დაიწყო პორტ-არტურის საქმის გარჩევა. დაესწრო 150 მოწმე. მათ შორის კუროპატკინი, ადმირალი ვირენი, გენერლები და სხ.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ბვალიშვილი.**


## განცხადებანი

### ქალაქ ფოთში

ლაზარევის ქუჩაზე იყიდება 1000 მანეთად ადგილი, მიწა ზომით 260 ოთხკუთხ. საჟ. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება: ტფილისს სადგურზე, „до востребованія И. Т."

(5—457—4)

**ქუთაისში** 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, როცა ის იყო მაღაზიებს ვკეტავდით, თავს დამესხა ხუთი შეიარაღებული კაცი, გამოღებინეს კასსა, სადაც 1500 მან ფული, 4000 მან. **საბუთის ქაღალდები: კუპონები, „ვოდნი ლისტები" და სხვა საჭირო დოკუმენტები** მქონდა, ყოველივე წაიღეს. ეს დოკუმენტები კი ჩემს გარდა, არავისათვის საჭიროებას არ შეადგენს და ამისათვის ვსთხოვ წამღებთ და აგრეთვე თუ ვისმეს ჩაუვარდეს ხელში ისინი, გამომიგზავნოს ფოშტით, ან რაიმე სხვა საშუალებით გადმომცენ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მიიღებენ.

ადრესი:—ქუთაისი, ვაჭარი გიორგი ტყეშელაშვილი. (2—6—1)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

### საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოვ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—87)

### ვერაზე

ქართულ გიმნაზიის გვერდით **იყიდება** მიწა, ზომით 92 ოთხ.-კუთ. საჟ. მსურველთ ვთხოვ მიმართონ „ისრის" რედაქციაში დილის 11—2 საათამდე, ხოლო 4—5 საათამდე შემდეგის ადრესით: Арагвинская ул., д. № 8.

პირველი კერძო სამკურნალო

### დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეჟიტიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელოვანი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. ოზერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—169)

### ამერიკულ ვაზის საქართის სანერგე

აცხადებს, რომ სანერგე მასალის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ამა წლის 1 და 2 დეკემბერს დაბა ყვირილაში (ქუთაისის გუბ.). (3—6.—2)

**გამოვიდა**

ახალი სრულიად შესწორებული და შემუშავებული

### ქართული წერის-[illegible]

**ხახატავი ნიმუშები**

**ს. დათეშიძისა.**

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში გ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში ფასი 20 კაპ. ვინც ავტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაეთმობა 10%.

ადრესი: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ დათეშიძეს. (10—3—9)

დაიბეჭდა და იყიდება

### 1908 წ.

### კედლის კალენდარი

შედგენილი **გ. თავართქილაძისა**

კალენდარი გადიდებული ფორმატისაა, არის შედგენილი **მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა, გრიგორიანთა, მაჰმადიანთა და ებრაელთათვის.**

ყოველ ფურცელ გვერდზედ ორი სამი ამბავი არის მოთავსებული და ღირს მხოლოდ 40 კ.; **ვინც პარტიობით იყიდის იმას დაეთმობა** 20%.

ადრესი: ТифлисъК. Таварткиладзе.

(3—452—3)



### სავაჭრო სადგომებისთვის

**და საზოგადოდ, სადაც დიდი სინათლეა საჭირო, ვურჩევთ გაზის ლამპებს**

### „ჩუდო"-ს

✦—(პატენტი კრეინგელისა).—✦

**ეს ლამპა ათასობით არის გავრცელებული**

ერთად-ერთი წარმომადგენელი

### კ. ბობილევი

ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ლამპები ქირითაც იძლევა

(3—ხალ.—1)

### ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენცია,** იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. «**სპერმატინი**" შედეგ ა **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლულობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღალულობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ინფლუენციის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოქარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლექს ქარეს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელ წლიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებიაა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ-გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი" ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბარატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეათხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წლიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი" მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს,** ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **ვ. მნაცაკანოვისა,** ტფილისი, 22 აგვისტო.

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. მოწ. ხელმწ. ბ. გ. ახობაძე, წავიკითხე თქვენი გახცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში", რომ თქვენ კანტორაში იყიდება „სპერმატინი" ლაბორატორიის ივანოვისა, რომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩვენი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წლიწადი ავად ვარ ნერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სისუსტითა და მომდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რევმატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც მივიღე ოთხი ფლაკონი თქვენი სპერმატინი", სულ გავნთავისუფლდი მოხსენებულს სატკივრებისაგან და ამ თქვენ წამლის მიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გამოწერილი ექიმებისაგან, მაგრამ არა მიშველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწირავთ, ბ. ი. ახობაძევ, და ვიქნები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემია შველისათვის.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და მისი მაზრა სოფ. ვანი, **ივანე ბალანჩივაძე.**

მოწ. ხ. **ბ. ი. ახობაძევ.** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გადმოცემულ „სპერმატინისათვის", ლაბორატორიის ი. ნ. ივანოვისა. 2 წელზედ მეტი ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარანცხელიასაგან ერთი ფლაკონი, უკედ გავხდი. მერე ვიხმარე მეორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივის მცემელი **ვიჩა ალფეენძე** სოფელ ოტობაიას მცხოვრები, სოხუმის ოლქის და გალის ნაწილისა. 12 ოქტომბერი, 1907 წ.

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპირმინი" ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მან. ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ზე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**ბ-ნი კალენიჩენკოს,** ყოფილი წარმომადგენელი „სპერმატინის" გაყიდვაში, ეხლა ამ თანამდებობაში არ იმყოფება. ჩემს ლაბორატორიასთან „სპერმატინის" მომზადების საქმეში მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის" ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: ტფილისი, ვერა მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის" კანტორის განყოფილება: ბაქოში, ი. გ. ახობაძეს სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბეჭდ საქონელი არ იგზავნება.** (0—6.—11)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.